

ანგარიში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ

2017 წელი I - II - კვარტალი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო 36 00

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა - 36 01

პროგრამის განმახორციელებელი - საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

| პროგრამული კოდი | დასახელება | წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა | წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა | საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება | საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში | საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
|-----------------|---|--|---|--------------------------------------|--|---|
| 36 01 | პროგრამა ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა | 31200.0 | 34307.0 | 15625.2 | 45.55% | |
| 360101 | ქვეპროგრამა ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის განხორციელება | 4050.0 | 4513.8 | 2116.2 | 46.88 % | |
| 36010101 | ქვეპროგრამა ენერგეტიკის სამინისტროს აპარატი | 2970.0 | 3433.8 | 1840.2 | 53.59 % | |
| 36010102 | ქვეპროგრამა სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო | 580.0 | 580.0 | 276.0 | 47.58% | 196.0 |
| 36010103 | საქართველოს ელექტროენერჯის | 500,0 | 500,0 | 0 | 0% | |

| | | | | | | |
|--------|--|---------|---------|--------|--------|--|
| | რგეტიკის ბაზრის ახალი კონცეფციის შემუშავება (EBRD) | | | | | |
| 360102 | ქვეპროგრამა მოსახლეობის ელექტროენერ გიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება | 20500.0 | 23313.2 | 9030.8 | 38.74% | |

| | | | | | | |
|--------|---|--------|--------|--------|---------|--|
| 360103 | ქვეპროგრამა ყაზბეგის მუნიციპალიტ ეტისა და დუშეთის მუნიციპალიტ ეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობის ათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულები ს ანაზღაურები ს ღონისძიება | 6650.0 | 6480.0 | 4478.2 | 69.11 % | |
|--------|---|--------|--------|--------|---------|--|

1.1.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის განხორციელება 36 01 01

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო და სსიპ -ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო
საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -

1.1.1.1 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - ენერგეტიკის სამინისტროს აპარატი 36 01 01 01
ქვეპროგრამის განმახორციელებელი - საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -

2017 წლის 6 თვის განმავლობაში გამართა შეხვედრები საქართველოს ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესებული, როგორც ადგილობრივი ასევე უცხოური კომპანიების წარმომადგენლებთან.

განხილული იქნა ინვესტორი კომპანიების მხრიდან პოტენციური ელექტროსადგურების საინვესტიციო წინადადებები და მომზადდა შესაბამისი დასკვნები, მომზადდა რეკომენდაციები მემორანდუმების გასაფორმებლად (4 პროექტზე);

შეფასებული იქნა საქართველოს მთავრობასა და ინვესტორ კომპანიებს შორის გაფორმებული მემორანდუმებით ნაკისრი ვალდებულებებით წარმოდგენილი, განსახორციელებელი ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებები და დაიწერა შესაბამისი დასკვნები (7 პროექტზე);

გაფორმდა 40 ურთიერთგაგების მემორანდუმი (43 ელექტროსადგურის პროექტის განვითარება), ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 970 მეგავატია და საინვესტიციო მოცულობა 1.2 მილიონ აშშ დოლარს აღემატება. ხელმოწერილი 43 ელექტროსადგურის პროექტიდან 26 ჰიდრო, 10 მზისა და 7 ქარის ელექტროსადგურია. აქედან 7 პროექტი მშენებლობის ეტაპზეა, ხოლო დანარჩენები ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის სტადიაზე არიან.

ასევე, შპს „აჭარ ენერჯი-2007“-ზე გენერაციის ლიცენზია გაიცა. ჰესის დადგმული სიმძლავრე 47.48 მგვტ-ია.

2017 წლის 24 ივნისს შპს "აჭარისწყალი ჯორჯია"-მ დაასრულა შუახევი და სხალთა ჰესების მშენებლობა. აღნიშნული პროექტების ჯამური დადგმული სიმძლავრე 187 მეგავატია, ხოლო საინვესტიციო ღირებულება 420 მლნ აშშ დოლარამდეა. ამჟამად მიმდინარეობს ჰესების ექსპლუატაციაში მიღების პროცედურები.

მესტიის მუნიციპალიტეტში დაიწყო „მესტიაჭალა 1“ და „მესტიაჭალა 2“ ჰესების მშენებლობა. პროექტების ჯამური დადგმული სიმძლავრე 50 მეგავატია და საინვესტიციო ღირებულება 65 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. პროექტების ექსპლუატაციაში შეყვანა დაგეგმილია 2018 წლის ბოლოს.

პერიოდულად მიმდინარეობს მონიტორინგი ქვეყნის მასშტაბით გაზიფიცირების 2016-2017 წლის გეგმის მიხედვით სამუშაოების შესრულების მიმდინარეობაზე.

მიმდინარეობს ენერგო-პრო ჯორჯიასთან შეთანხმებული გამრიცხველიანების გეგმის შესრულების მონიტორინგი.

მიმდინარეობს „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების 10 წლიანი გეგმა“ 2017 – 2027 გეგმის შესრულების მონიტორინგი.

დანის მთავრობის მხარდაჭერით დაიწყო „ენერგეტიკის მდგრადი განვითარებისა და ენერგოეფექტურობის ხელშეწყობის“ პროგრამა. დასრულდა ტენდერი გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება და მიმდინარეობს სამუშაო პროცესი.

1.1.1.2 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - 36 01 01 02 სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -

გამოცხადებული იქნა ღია საერთაშორისო ტენდერი, ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის მოსაპოვებლად თავისუფალ რვა სალიცენზიო ბლოკზე. სატენდერო კომისიის დასკვნის საფუძველზე, სააგენტოს უფროსის გადაწყვეტილებით გამოვლინდა საუკეთესო განაცხადის შემომტანი კომპანიები რვა სალიცენზიო ბლოკებისათვის, რის თაობაზეც 2017 წლის 23 ივნისს გამოიცა სააგენტოს უფროსის შესაბამისი ბრძანებები. მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები ტენდერის დასასრულებლად, გამარჯვებულ კომპანიებთან ხელშეკრულების გასაფორმებლად.

სისტემატიურად მიმდინარეობს ლიცენზიანტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშგების ფორმების ანალიზი, სისტემატიზაცია და ინფორმაციის კონტროლი.

სააგენტოს მიერ დამტკიცებულ იქნა 2 განაცხადი კაპიტალურ რემონტზე.

მიმდინარე წლის I კვარტალში შპს „ზდ ნავთობკომპანია“-ზე გაიცა ნავთობის გადამუშავების (კომპაუნდირება) საქმიანობის ლიცენზია.

ჩატარდა გასვლითი შემოწმებები საქმიანობის ლიცენზიის მქონე საწარმოებში (შპს „გლობუსი“, შპს „ზდ ნავთობკომპანია“) და განაცხადის წარმომდგენ კომპანიაში - შპს „თდვ“-ში.

გრძელდება ნავთობისა და გაზის ოპერაციების მიმდინარეობის ინსპექტირება და კომპანიების მიერ შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი დამტკიცებული სამუშაო გეგმის მიხედვით.

ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მარეგულირებელი ეროვნული წესებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის გამო დაჯარიმებულ იქნა შპს „ნაზვრევის ნავთობკომპანიის წარმომადგენლობა საქართველოში“, საერთო თანხით 3000 ლარი.

საქმიანობის ლიცენზიის პირობებისა და ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს უფროსის 2014 წლის 17 ოქტომბრის №11/126 ბრძანებით დადგენილი ნავთობის გადამუშავების და რეალიზაციის ანგარიშგების ფორმის წარმოუდგენლობის გამო, შპს „ბეგინ ენერჯი“ დაჯარიმებულ იქნა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

1.1.2 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება 36 01 02

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -

„საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 იანვრის #75 განკარგულების შესაბამისად, დაიწყო მუშაობა ხარაგაულის, ზუგდიდის, მარტვილის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ლაგოდეხის, ყვარლის, გარდაბნის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის, ამბროლაურის და ონის მუნიციპალიტეტების სოფლების გაზიფიცირებაზე. ცხრილში მოცემულია გაზიფიცირების სამუშაოების მიმდინარე მდგომარეობა

| მუნიციპალიტეტი | სოფელი/დაბა/დასახელება | დავალება | მიმდინარეობა |
|--------------------|---|---------------------------|---|
| ხარაგაული | ჯაფარაული და ისლარი | მშენებლობა | დასრულებულია მშენებლობა |
| ზუგდიდი | ნაცატუსა და ურთა | მშენებლობა | მიმდინარეობს საამშენებლო სამუშაოები |
| მარტვილი | ვედიდკარი | მშენებლობა | მიმდინარეობს საამშენებლო სამუშაოები |
| ოზურგეთი, ლანჩხუთი | წვერმაღალა, წყალწმინდა | მშენებლობა | მიმდინარეობს საამშენებლო სამუშაოები |
| ლანჩხუთი | ჯაპანა, ქვიანი, ჭყონაგორა, ჩოლობარგი, ნიგოთი | მშენებლობა | მიმდინარეობს საამშენებლო სამუშაოები |
| ლაგოდეხი | ბაისუბანი, პატარაგორი, გელათი, განათლება, ზემო მსხალგორი, ზვემო მსხალგორი | მშენებლობა | მიმდინარეობს საამშენებლო სამუშაოები |
| ყვარელი | საბუე | მშენებლობა | დასრულებულია მშენებლობა |
| გარდაბანი | ფოლადანთკარი | მშენებლობა | მიმდინარეობს საამშენებლო სამუშაოები |
| კასპი | ახალსოფელი, ზემო ჩოჩეთი და ზემო ხანდაკი | მშენებლობა | მიმდინარეობს საამშენებლო სამუშაოები |
| კასპი | მეტეხი, გომი, ნიაბი, | მშენებლობა | მიმდინარეობს საამშენებლო სამუშაოები |
| გორი | ზერტი | მშენებლობა | მიმდინარეობს საამშენებლო სამუშაოები |
| ქარელი | მოხისი | პროექტირება და მშენებლობა | დასრულდა პროექტირება და სატენდერო პროცედურები |
| ხაშური | აგარები, ახალსოფელი, დიდი სატივე, პატარა სატივე, | მშენებლობა | დასრულებულია მშენებლობა |
| ამბროლაური | წესი | პროექტირება და მშენებლობა | დასრულდა პროექტირება და სატენდერო პროცედურები |
| ონი | სორი | პროექტირება და მშენებლობა | პროექტირება დასრულებულია დაიწყო მშენებლობა |

2017 წლის 4 მაისის #880 საქართველოს მთავრობის განკარგულების თანახმად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამინისტროს გამოეყო 580 ათასი ლარი, ახმეტის მუნიციპალიტეტში პანკისის ხეობის სოფლების: ქორეთის, ბაყილოვანის, საკობიანოს, კუწახტას, წინუბნის, ყვარელწყალის, დუისის, ქვემო ხალაწის, შუა ხალაწის, ზემო ხალაწის, დედისფერულის, დუმასტურის, ჯოყოლოს, ომალოს, ბირკიანის და მიბახევის მოსახლეობის სტაბილური და უსაფრთხო ელექტრომომარაგების უზრუნველყოფად, 10/04 კვ. ძაბვის ელექტროგამანაწილებელი ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის. ამ სამუშაოების ჩასატარებლად გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება და პროექტის სავარაუდოდ დასრულდება მ/წლის ბოლოს.

1.1.3 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება 36 01 03

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -

“საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ”, საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, გაზგამანაწილებელი კომპანია “სოკარ ჯორჯიაგაზის” მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, განხორციელდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში, აგრეთვე იმ სოფლებში, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭათ, მუდმივად მცხოვრები მოსახლეობისათვის 2016 წლის 1 დეკემბრიდან 2017 წლის 15 მაისამდე პერიოდში მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება, მოხმარებული ბუნებრივი აირის ოდენობამ 10 628 455 კუბ/მ შეადგინა.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

2.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 36 02)

პროგრამის განმახორციელებელი - საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, შპს ენგურჰესი,

| პროგრამის კოდი | დასახელება | წლიური დამტკიცებული მოცულობა | წლიური დაზუსტებული მოცულობა | საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება | საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში |
|----------------|--|------------------------------|-----------------------------|--------------------------------------|---|
| 36 02 | პროგრამა ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია | 12100.0 | 12100.0 | 0.0 | 0.0 % |
| 360201 | ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EC) | 12100.0 | 12100.0 | 0.0 | 0.0 % |

2. 1.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი
 ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EC) 36 02 01
 პროგრამის განმახორციელებელი - შპს ენგურჰესი

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -

2017 წლის პირველ და მეორე კვარტალებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

სადაწნეო გვირაბის კონკრეტული ავარიული უბნების დადგენისა და შემგომი სამუშაოების დაგეგმისათვის თებერვალში მოხდა ენგურჰესის გაჩერება, რეზერვუარის დონის დაწევა, სადაწნეო გვირაბის დაცლა და სრული ინსპექტირება.

მარტში გამოცხადდა საერთაშორისო ტენდერი: სამუშაოების დიზაინის, სამშენებლო ტენდერებისა და სამუშაოების ზედამხედველობის განხორციელებისთვის დამოუკიდებელი საინჟინრო კომპანიის შესარჩევად. გამარჯვებული საინჟინრო კომპანიის გამოვლენა და კონტრაქტის გაფორმება იგეგმება მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში, რასაც მოყვება საინჟინრო დიზაინის პროექტზე მუშაობის დაწყება. სამშენებლო ტენდერების გამოცხადება ეტაპობრივად დაიწყება 2017 წლის ბოლოდან და გაგრძელდება 2018 წლის ზაფხულამდე.

დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება დაიწყება 2018 წლიდან.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

3. 1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 36 03)

პროგრამის განმახორციელებელი - საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო, სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

| პროგრამის კოდი | დასახელება | წლიური დამტკიცებული მოცულობა | წლიური დაზუსტებული მოცულობა | საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება | საკასო შესრულების წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში |
|----------------|---|------------------------------|-----------------------------|--------------------------------------|---|
| 36 03 | პროგრამა სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება | 89000.0 | 89000.0 | 61282.5 | 68.86% |
| 360301 | ქვეპროგრამა რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი | 10680.0 | 10680.0 | 2141.9 | 20.06 % |
| 36030101 | ქვეპროგრამა 500 კვ ეგზ წყალტუბო ახალციხე ტორტუმი (KFW) | 3180.0 | 3180.0 | 0.0 | 0.0 % |

| | | | | | |
|----------|--|---------|---------|---------|----------|
| 36030102 | ქვეპროგრამა 250 მგვარ რეაქტორი ე/ს ზესტაფონში (EBRD, EC, KFW) | 7500.0 | 7500.0 | 0.0 | 0.0 % |
| 36030103 | ქვეპროგრამა რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი (ADB) | 0.0 | 0.0 | 2141.9 | |
| 360302 | ქვეპროგრამა საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა | 34520.0 | 34520.0 | 43482.7 | 125.96 % |
| 36030201 | ქვეპროგრამა 500 კვ ეგზ-ის მშენებლობა ქსანი-სტეფანწმინდა (EBRD, EC, KFW) | 22520.0 | 22520.0 | 17320.3 | 76.91% |
| 36030202 | ქვეპროგრამა ჯვარი ხორგა ელექტროგადამცემი ხაზი (EBRD, EC, KfW) | 12000.0 | 12000.0 | 26162.5 | 218.02 % |
| 360303 | ქვეპროგრამა 220 კვ „ახალციხე-ბათუმი“ ხაზის მშენებლობა | 39480.0 | 39480.0 | 15657.8 | 39.66 % |
| 36030301 | ქვეპროგრამა 220 კვ „ახალციხე-ბათუმი“ ხაზის მშენებლობა (WB) | 37020.0 | 37020.0 | 15339.0 | 41.43 % |
| 36030302 | ქვეპროგრამა საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის განვითარების შეფასება (WB) | 2460.0 | 2460.0 | 318.8 | 12.96% |
| 360304 | ქვეპროგრამა ჩრდილოეთის რგოლი ეგზ (I ფაზა) (EBRD, KFW) | 1700.0 | 1700.0 | 0.0 | 0.0 % |
| 360305 | ქვეპროგრამა 500 კვ ეგზ ჯვარი-წყალტუბო (WB) | 1720.0 | 1720.0 | 0.0 | 0.0 % |
| 360306 | ქვეპროგრამა გურიის ელგადამცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გამდიერება (KFW) | 900.0 | 900.0 | 0.0 | 0.0 % |

3.1.1. პროგრამა და პროგრამული კოდი

სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება -36 03

პროგრამის განმახორციელებელი - სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

3.1.1.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

500 კვ ეგზ წყალტუბო -ახალციხე - ტორტუმი (KfW) 36 03 01 01

პროგრამის განმახორციელებელი - სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -

საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე, გაფორმდა ხელშეკრულება საკონსულტაციო კომპანიასთან „ფიხტერი“ „500/400კვ ეგხ წყალტუბო-ახალციხე-ტორტუმის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და პირველადი დიზაინის მომზადებაზე. მიმდინარეობს მუშაობა პირველად ანგარიშზე. საბოლოო ანგარიშების წარმოდგენა, სავარაუდოდ, მოხდება 2017 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. ასევე, მიმდინარეობს სამუშაოები: პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განმახორციელებელი კონსულტანტის შერჩევისთვის. 2017 წლის იანვარის თვეში გაიხსნა წარმოდგენილი წინა საკვალიფიკაციო წინადადებები, ივნისის თვეში სრული ტექნიკური და ფინანსური წინადადებების წარმოდგენის მოთხოვნის დოკუმენტი დაეგზავნა კანდიდატებს, რომლებმაც გაიარეს წინასაკვალიფიკაციო ეტაპი. წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2017 წლის 17 აგვისტო. კონტრაქტის გაფორმება შერჩეულ კონსულტანტთან იგეგმება მ/წლის IV კვარტალში.

3.1.1.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

250 მგვარ რეაქტორი ქ/ს ზესტაფონში (EBRD, EC, KfW) – 36030102

პროგრამის განმახორციელებელი - სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -

კონტრაქტორმა წარმოადგინა საავანსო და პროექტის უზრუნველყოფის გარანტიები. ძირითადი ტექნიკური პარამეტრები შეთანხმებულია. დასრულდა ნიადაგის შესწავლა, მიმდინარეობს მუშაობა ობიექტზე; პროექტის პროგრესი 2017 წლის 1 აპრილის მდგომარეობით შეადგენს 92%, დარჩენილია დაერთების სამუშაოები. პროექტის დასრულება დაგეგმილია მე-3 კვარტალში.

3.1.2.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

500 კვ ეგხ-ის მშენებლობა ქსანი-სტეფანწმინდა (EBRD, EC, KfW) 36 03 02 01

პროგრამის განმახორციელებელი - სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

პროექტით გათვალისწინებული 247 ფუნდამენტიდან დამონტაჟებულია 127 ანძის ფუნდამენტი, მიმდინარეობს 6 ფუნდამენტის მოწყობის პროცესი, აწყობილია და დამონტაჟებულია 120 ანძა. მიმდინარეობს ხაზის გაჭიმვის პროცესი, დასრულებულია 26 კმ ხაზის სამონტაჟო სამუშაოები, ამჟამად მიმდინარეობს 3კმ. ხაზის სამონტაჟო სამუშაოები. 500კვ „ქსანი-სტეფანწმინდა“ ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე დაახლოებით 95 კმ-ია. მიმდინარეობს განსახლების გეგმის განხორციელება.

3.1.2.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

ჯვარი ხორგა ელექტროგადამცემი ხაზი (EBRD, EC, KfW) 36 03 02 02

პროგრამის განმახორციელებელი - სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -

პროექტით გათვალისწინებული

500კვ ეგხ-ის „კავკასიონი“ შეჭრა: ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე დაახლოებით 8 კმ-ია, პროექტით გათვალისწინებული 21 ფუნდამენტიდან მოწყობილია 19, აწყობილი და დამონტაჟებულია 15 ანძა, მიმდინარეობს სადენის მონტაჟის სამუშაოები, მიმდინარეობს სადენის გაჭიმვა ანძებს შორის. 220კვ ეგხ-ის ჯვარი-ხორგა: ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე დაახლოებით 60 კმ-ია, პროექტით გათვალისწინებული 170 ფუნდამენტიდან დამონტაჟებულია 111; მიმდინარეობს ანძების ტრანსპორტირება. მიმდინარეობს განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელება.

3.1.3.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი
220 კვ "ახალციხე-ბათუმი" ხაზის მშენებლობა (WB) 36 03 03 01

პროგრამის განმახორციელებელი - სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -

დასრულდა პროექტის I ფაზის მშენებლობა: „ბათუმი-შუახევის“ მონაკვეთი, რომლის ფარგლებშიც დამონტაჟდა 144 ანძა და გაიჭიმა ახალი 53 კმ. სიგრძის 20 კვ-იანი ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი.

პროექტის II ფაზაზე („შუახევი-ახალციხის“ მონაკვეთი) მიმდინარეობს დიზაინის განახლება/გადამოწმება და მოსამზადებელი სამუშაოები, პროექტით გათვალისწინებული ხაზის სიგრძე - 90 კილომეტრი, ჯამში უნდა დაიდგას დაახლოებით 250 ანძა.

3.1.3.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი
საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის განვითარების შეფასება (WB) 36 03 03 02

პროგრამის განმახორციელებელი - საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -

გაფორმებულია კონტრაქტი ტენდერში გამარჯვებულ საკონსულტაციო კომპანიასთან და დაიწყო მუშაობა კონტრაქტით გათვალისწინებულ ანგარიშებზე. დღეისათვის წარმოდგენილია „საწყისი ეტაპის ანგარიშის“ საბოლოო ვერსია.

3.1.4. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი
ჩრდილოეთის რგოლი ეგზ (I ფაზა) (EBRD, KfW) 36 03 04

პროგრამის განმახორციელებელი - სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -

საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე, გაფორმდა ხელშეკრულება საკონსულტაციო კომპანიასთან „ფიხტნერი“ ჩრდილოეთის რგოლი ეგზ (I ფაზა) პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და პირველადი დიზაინის მომზადებაზე. მიმდინარეობს მუშაობა პირველად ანგარიშზე. საბოლოო ანგარიშების წარმოდგენა, სავარაუდოდ, მოხდება 2017 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. ასევე, მიმდინარეობს სამუშაოები: პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განმახორციელებელი კონსულტანტის შერჩევითვის. 2017 წლის იანვარის თვეში გაიხსნა წარმოდგენილი წინა საკვალიფიკაციო წინადადებები, ივნისის თვეში სრული ტექნიკური და ფინანსური წინადადებების წარმოდგენის მოთხოვნის დოკუმენტი დაეგზავნა კანდიდატებს, რომლებმაც გაიარეს წინასაკვალიფიკაციო ეტაპი. წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2017 წლის 17 აგვისტო. კონტრაქტის გაფორმება შერჩეულ კონსულტანტთან იგეგმება მ/წლის IV კვარტალში.

3.1.5. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი
500 კვ ეგზ ჯვარი-წყალტუბო (WB) 36 03 05

პროგრამის განმახორციელებელი - სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -

გაფორმებულია ხელშეკრულებები პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ანგარიშის მოსამზადებლად კონსულტანტთან - Fichtner GmbH & Co. KG, ხოლო გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მოსამზადებლად კონსულტანტთან, DG Consulting Ltd

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა:

პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევის საბოლოო ანგარიშზე და პირველადი დიზაინის (პროექტის) დასრულებაზე; გარემოზე ზემოქმედების შეფასების შუალედურ ანგარიშზე.

3.1.6. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) 36 03 06

პროგრამის განმახორციელებელი - სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -

საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე, გაფორმდა ხელშეკრულება საკონსულტაციო კომპანიასთან „ფიხტნერი“ გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და პირველადი დიზაინის მომზადებაზე. მიმდინარეობს მუშაობა პირველად ანგარიშზე. საბოლოო ანგარიშების წარმოდგენა, სავარაუდოდ, მოხდება 2017 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. ასევე, მიმდინარეობს სამუშაოები: პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განმახორციელებელი კონსულტანტის შერჩევისთვის. 2017 წლის იანვარის თვეში გაიხსნა წარმოდგენილი წინა საკვალიფიკაციო წინადადებები, ივნისის თვეში სრული ტექნიკური და ფინანსური წინადადებების წარმოდგენის მოთხოვნის დოკუმენტი დაეგზავნა კანდიდატებს, რომლებმაც გაიარეს წინასაკვალიფიკაციო ეტაპი. წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2017 წლის 17 აგვისტო. კონტრაქტის გაფორმება შერჩეულ კონსულტანტთან იგეგმება მ/წლის IV კვარტალში.